26/07/2013 /მეცხრე არხის ახალი ამბები

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ MDF-ს ეხმაურება

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ მოუწოდებს მედიის განვითარების ფონდს (MDF), დაუყოვნებლივ შეასწოროს თავისი ყოველკვირეული ანგარიში, რომელიც 22 ივლისს გამოქვეყნდა.

ანგარიშში ნათქვამია რომ „სამთაწყაროს ინციდენტთან დაკავშირებით „მე-9 არხის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც ფაქტების, ასევე ვიდეოკადრებითა და სინქრონით მანიპულირებას,” რაც არ შეესაბამება სიმართლეს. „მეცხრე არხის“ წამყვანის, თამთა (და არა თამარ, როგორც ეს ანგარიშშია ნათქვამი) სანიკიძის ტექსტში ნათქვამია, რომ დილიდან შეინიშნებოდა პოლიციელების მობილიზება, თუმცა აღნიშნული არ არის, რა გახდა მუსლიმანთა ლოცვის ჩაშლის მიზეზი.

ტექსტშიც და რეპორტაჟშიც აღნიშნულია მხოლოდ ფაქტები: სულიერი წინამძღოლი შეუძლოდ გახდა, მრევლის ნაწილი კი არ შეიკრიბა - რაც აბსოლუტურად სწორი და გადამოწმებული ფაქტებია. მაგალითად, „მეცხრე არხის” რეპორტაჟში ნაჩვენებია სასულიერო პირის შეუძლოდ ყოფნა, ასევე როგორ ურეკავს უცხო ადამიანი სულიკო ხოზრევანიძეს და აიძულებს, შევიდეს სამლოცველოში და ლოცვა ჩაატაროს, რაზეც თავად სულიკო ხოზრევანიძე ამბობს უარს (ჩანაწერში ისმის უცხო პირის ხმა - სწორედ ეს ეპიზოდი იყო ჩასმული რეპორტაჟში).

როდესაც სულიკო ხოზრევანიძე პოლიციის მანქანით სამლოცველოსთან მივიდა, მან განაცხადა შემდეგი: „ვიყავით პარმენ ცეცხლაძესთან. წამიყვანა პოლიციამ, რათა ლოცვა ჩაგვეტარებინა, მაგრამ მან უარი თქვა ლოცვაზე. ახლა მე მომიყვანეს, რომ ლოცვა ჩავატარო.” ამ ეპიზოდიდან, ანუ მანქანიდან გადმოსვლისთანავე ჩვენს კორესპონდენტს მადონა ბატიაშვილს ესმოდა, უცხო ადამიანი როგორ აიძულებდა ხოზრევანიძეს, არ გაეთიშა ტელეფონი (კადრებშიც ჩანს, როგორ ეუბნება სულიკო ხოზრევანიძე უარს და კარგად ისმის იმ ადამიანის ხმაც). რეპორტაჟში გავიდა კომენტარი, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლოცვის ჩაშლის მიზეზად პოლიციის უმოქმედობა დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ „მეცხრე არხი“ კონფლიქტის დაწყებიდან მუშაობს აღნიშნულ სოფელში და სულიკო ხოზრევანიძის გარდა, ვერ ვნახეთ ლოცვის მომხრე სხვა მუსლიმანი, გარდა მისი 3 ვაჟისა, რომლებიც აჭარაში, კერძოდ ქობულეთში ცხოვრობენ და არდადეგებზე ჩავიდნენ სოფელში.

ფონდი „მეცხრე არხის“ წამყვანზე აკეთებს აქცენტს, რომ აღნიშნული ფაქტები ლიდში (წამყვანის ტექსტში) უნდა გაეტანა, თუმცა არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს ფაქტები რეპორტაჟში იყო ნაჩვენები და ნახსენები.

ასევე თქვენს ანგარისში ვკითხულობთ : “საინფორმაციოს წამყვანმა სიუჟეტის შესავალში ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სამთაწყარო საზღვრისპირა სოფელია, რაც გარკვეულწილად ვითარების დრამატიზებას ისახავდა მიზნად, ისევე როგორც ჟურნალისტის შეფასება კონფლიქტის ხელოვნურად პროვოცირების შესახებ”.

დავძენთ, რომ წამყვანი სოფელს გეოგრაფიულ არეალს ვერ შეუცვლის, რადგან ის ნამდვილად საზღვრისპირაა და აღნიშნული დეტალით ინფორმაციის დრამატიზება არ მომხდარა. „მეცხრე არხის” წამყვანს თამთა სანიკიძეს არ შეუფასებია სამთაწყაროში მიმდინარე ამბები.

ინფორმაციისთვის, სამთაწყაროში ხელოვნური პროვოცირების შესახებ ადგილობრივები კამერის მიღმა საუბრობენ და სოფელში ამ თემაზე საუბარი, მათ შორის, ადგილობრივი არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებისაგან სიახლეს არ წარმოადგენს.

ჩვენს კიდევ ერთ რეპორტაჟში სერგო ჯაიანი, სამთაწყაროში მცხოვრობი აჭარელი ეკომიგრანტი, ხელოვნური პროვოცირების შესახებ კამერებთან თავად საუბრობდა.

„მეცხრე არხის” კორესპონდენტის გარდა, იქ იყვნენ ყველა ტელეკომპანიისა და ადგილობრივი მედიის, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

პატივისცემით,

იმედა დარსალია,

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი

ტელეკომპანია “მეცხრე არხი”